სსიპ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭო (სენატი)
დადგენილება № 01-06-02/43

ქ. თბილისი

7 დეკემბერი 2020

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-18 მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 9 სექტემბრის №133/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების“ მე-11 მუხლის, სტუ-ის ბალანსზე რიცხული ძირითადი საშუალებების ჩამოწერის მიზნით შექმნილი კომისიის 2020 წლის 24 ნოემბრის №2 სხდომის ოქმის, სტუ-ის საინფორმაციო ტექნოლოგიების დეპარტამენტის უფროსის, ბატონი დავით ჩიქოვანის 2020 წლის 30 ნოემბრის №0001135519 წერილისა და წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი) 2020 წლის 7 დეკემბრის №01-06-02/12 ოქმის საფუძველზე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წარმომადგენლობითმა საბჭომ (სენატი) დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა სტუ-ის ადმინისტრაციას, კანონმდებლობით დადგენილი წესით, სტუ-ის აგრარული მეცნიერებების და ბიოსისტემების ინჟინერინგის ფაკულტეტის დიდი ჯიხაიშის სასწავლო ცენტრის ყოფილი სააქტო დარბაზის შენობის ჩამოწერის შესახებ;
2. დადგენილება შეიძლება გასაჩივრდეს გამოქვეყნებიდან 1 თვის ვადაში თბილისის საქალაქო სასამართლოში, მდებარე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი მე-12 კმ, №64.

სტუ-ის წარმომადგენლობითი საბჭოს (სენატი)
სპიკერი, პროფესორი **ჯემალ გახოკიძე**